

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“
შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“-ს
დირექტორატის მიერ 2015 წლის 01 სექტემბრის № 8-8 ბრძანებით

-----/ლალი გარდაფხაძე/

-----/ნინო ქადაგიძე/

შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი“
ბიბლიოთეკის დებულება

I. ზოგადი დებულებები

1.1. ბიბლიოთეკა დაფუძნებულია შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“, მიერ და არის სკოლის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც განთავსებულია ბიბლიოგრაფიული ფონდი, საგანმანათლებლო ერთეულების სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები და სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, მხატვრული, საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალა.

1.2. სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციულ ორგანოს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები მოსწავლეებისა და მასწავლებლების საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად.

1.3 ბიბლიოთეკის დებულება ეფუძნება “საბიბლიოთეკო საქმის შესახებ” საქართველოს კანონს, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკარის სტანდარტს.

II. მიზნები და ამოცანები

2.1. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული სრულყოფის, მოსწავლეთა განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა

2.2. ბიბლიოთეკის ძირითად მიზნებს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა სათანადო სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით

2.3. ამ ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს:

- მკითხველთა სწრაფ და სრულ დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდვური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალებით)
- ხელსაყრელი პირობების შექმნას პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისათვის
- შესაბამისი პროფილის ლიტერატურისა და დოკუმენტების შეგროვებას და მათ სათანადო დაცვა-მოვლა-პატრონობას
- საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის ხელმისაწვდომობისა და მომსახურების მაღალ დონეს როგორც ადგილზე, ისე სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის ლიტერატურისა და დოკუმენტების დროებით სარგებლობაში გადაცემით

III. ძირითადი პრინციპები და ფუნქციები

3.1. ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- მკითხველთა თანასწორუფლებიანობა;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და შეუზღუდაობა;
- კავშირების დამყარება სხვა ბიბლიოთეკებთან, გამომცემლობებთან;

- თანამედროვე ელექტრონული სისტემის დანერგვა საბიბლიოთეკო საქმიანობაში, ინტერნეტ-ქსელის გამოყენება მკითხველთა მომსახურებისა და საჭირო ლიტერატურის მოსაძიებლად.

IV. ბიბლიოთეკისა და მკითხველის უფლება-მოვალეობანი

4.1. ბიბლიოთეკა ყოველდღე, მუშაობს შაბათ-კვირის გარდა, 09:30-დან 17:00 სთ-მდე.

4.2. ბიბლიოთეკა უფლებამოსილია:

- ამ დებულების შესაბამისად განსაზღვრული ფუნქციები განახორციელოს დამოუკიდებლად;
- მიიღოს შესაბამისი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაარღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს ან სხვა სახის ზიანს მიაყენებენ ბიბლიოთეკას;
- ითანამშრომლოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

4.3. ბიბლიოთეკის ვალდებულებები:

- თავისი საქმიანობა წარმართოს ამ დებულების საფუძველზე და მის შესაბამისად;
- მუდმივად დააკომპლექტოს ფონდები შესაბამისი საბიბლიოთეკო დოკუმენტებით და ასახოს ისინი საინფორმაციო-საცნობარო საშუალებებში;
- უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურების მაღალი დონე;

4.4. მკითხველი ვალდებულია:

- გაეცნოს და დაიცვას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელიც ამ დებულების ორგანული ნაწილია;
- დაბრუნოს წიგნი დადგენილ ვადებში.

V. საბიბლიოთეკო ერთეულის გატანის წესები

5.1 წიგნის გატანა ხდება 2 კვირის ვადით. წიგნის გატანა დამოკიდებულია მასალისა და მკითხველის კატეგორიაზე, ერთეულის რაოდენობასა და მისი მოთხოვნის სიხშირეზე;

5.2 ნაბეჭდი საბიბლიოთეკო ერთეული, რომელიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, გამონაკლისის გარდა (იხ. პუნქტი 5.3.), ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა; ასეთი რესურსით სარგებლობა მკითხველს შეუძლია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;

5.3. იმ შემთხვევაში თუ, ნაბეჭდი საბიბლიოთეკო ერთეული მხოლოდ ერთი ეგზემპლარია ბიბლიოთეკაში, მაგრამ არ არის მასზე ყოველდღიური მოთხოვნა, შესაძლებელია მკითხველმა ისარგებლოს მისი სახლში გატანის უფლებით;

5.4 ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა, ასევე პერიოდული გამოცემები (ჟურნალები, გაზეთები), რარიტეტები (იშვიათი გამოცემები, ძველი წიგნები), კარტოგრაფიული და სანოტო გამოცემები, ვიდეო და აუდიო მასალა (DVD, CD), ლექსიკონები, ენციკლოპედიები;

5.5 ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის უფლებით სარგებლობენ შპს „ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის“, მოსწავლეები, მასწავლებლები და პერსონალი.

VI. პასუხისმგებლობა საბიბლიოთეკო ერთეულის დაზიანების ან/და დაბრუნების ვადის დარღვევის გამო

6.1. გატანილი წიგნის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე, მკითხველი ვალდებულია დააბრუნოს ლიტერატურა ბიბლიოთეკაში;

6.2. გატანილი წიგნის დაბრუნების ვადის დადგომის დროს, თუ მკითხველს კვლავ სჭირდება ამავე მასალით სარგებლობა, მას შეუძლია გადადოს წიგნის დაბრუნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ მასალაზე არ არის მოთხოვნა;

6.3. თუ მკითხველი ობიექტური მიზეზების გამო (მაგ: ავადმყოფობა, ქვეყანაში არ ყოფნა და სხვ.) ვერ აბრუნებს გატანილ მასალას წინასწარ განსაზღვრულ დროში, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს ბიბლიოთეკას. წინააღმდეგ შემთხვევაში მასალით სარგებლობის ვადა ჩაითვლება დარღვეულად;

6.4. დაუშვებელია საბიბლიოთეკო ერთეულის დაზიანება. დაზიანების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ადგენს აქტს, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია განსაზღვრავს ფინანსურ სანქციას დაიზანებული ერთეულის ღირებულების გათვალისწინებით;

6.5. საბიბლიოთეკო ერთეულის დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, მკითხველი ვალდებულია აქტის საფუძველზე სკოლის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული საფასური;

6.6. დაკარგული ან/და დაზიანებული საბიბლიოთეკო ერთეულის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, რასაც ემატება ფინანსური სანქციით დადგენილი ოდენობა, ძირითადი ფასის არაუმეტეს 100%-ისა.

VII. ცვლილებების შეტანა

7.1. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემით.